



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27230254

თარიღი:25/01/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 04

25 იანვარი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. #41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა

№	დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	კულტურული ინიციატივები	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ ინიცირებული ან/და სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებისგან შემოსული ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	26 500
2	თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხელოვან მცირე მეწარმეთა შემოქმედების პოპულარიზაცია/ხელშეწყობა	თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხელოვან მცირე მეწარმეთა შემოქმედების პოპულარიზაცია/ ხელშეწყობის ღონისძიება მოიცავს სხვადასხვა გამოფენა-გაყიდვების, სამუშაო შეხვედრების/სემინარების ორგანიზებას, საგამოფენო ინვენტარის შეძენას და სხვა სახის მხარდაჭერას	წლის განმავლობაში	59 500
3	ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიება	თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისება ფულადი საჩუქრის სახით, რომელთაც სრული	სექტემბერი-ოქტომბერი	40 000

		ზოგადი განათლების მიღება დაასრულეს ოქროსა და ვერცხლის მედლებზე		
4	არქეოლოგიური ბანაკი (გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი)	პროექტის ფარგლებში თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების წარჩინებულ მოსწავლეებს/მენტორ-პედაგოგებს, საშუალება ეძლევათ 10 დღის განმავლობაში მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქეოლოგიის შესახებ, მოინახულონ სხვადასხვა მუზეუმ-ნაკრძალები	ივლისი-აგვისტო	48 000
	მთლიანი ბიუჯეტი			174 000